

წლიური ანგარიში

იანვარი-დეკემბერი, 2018

*განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიურ ანგარიშში
წარმოდგენილია 2018 წლის მუშაობის შედეგები ცენტრის 2016-2020 წლების
სტრატეგიულ მიზნებთან და სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში*

შესავალი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ -აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

საქმიანობის სფერო

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე; აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას; საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზნით აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ასევე ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

მისია

ცენტრის მისიაა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მართვის პრაქტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა და ქვეყნის განათლების სისტემის მიმართ ნდობის უზრუნველყოფა.

ხედვა

ცენტრის ხედვაა საქართველოში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო ქვეყანაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სფეროში ცენტრი იყოს წამყვანი ინსტიტუცია, რომელსაც აქვს მაღალი ნდობა და აღიარება, როგორც ადგილობრივ, ისე – საერთაშორისო დონეზე.

ღირებულებები

ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. შესაბამისად, მისი უმთავრესი ღირებულებებია:

თანამშრომლობა

დაინტერესებულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

დამოუკიდებლობა

სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ფუნქციონირების მიუხედავად ცენტრის დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

განვითარება

საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება.

პროფესიონალიზმი

თანამშრომელთა კვალიფიციურობა, ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება; მომხმარებელთა მიმართ პატივისცემა და მათზე ორიენტირებულობა.

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა.

ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიული მიზნები

1. სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება;
2. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება;
4. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა;
5. საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

ცენტრის 2018 წლის ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია 2018 წლის მუშაობის შედეგები ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიულ მიზნებთან და ცენტრის 2018 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

1. სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება

ცენტრის ორგანიზაციული განვითარება

2018 წელს მოწესრიგდა ადამიანური რესურსების მართვის რეესტრი, რამაც გაამარტივა ცენტრში დასაქმებულ პირთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება. მოხდა არსებული დოკუმენტაციის სისტემატიზაცია წლების მიხედვით, რომელმაც გაამარტივაა თუ იმ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მოძიება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა 2018 წლის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მონაწილე უცხოელი ექსპერტების ბაზა და მოწესრიგდა მათი პირადი საქმეები.

ცენტრის ბიუჯეტი ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ხარჯებს. 26 აპრილს ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა წახალისების კომისია, რომელიც განიხილავს თანამშრომელთა წახალისების შესახებ კონკრეტულ წინადადებებს და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს ცენტრის დირექტორს. კომისია შედგება 7 მუდმივმოქმედი წევრისგან. კომისიამ შეიმუშავა სპეციალური კრიტერიუმები და 2018 წელს წახალისა ცენტრის 2 თანამშრომელი.

ცენტრის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა

2018 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე, დაიგეგმა და ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- კონფლიქტების მართვა (30 თანამშრომელი)
- სახელმწიფო შესყიდვები (3 თანამშრომელი)
- უსაფრთხოების ტრენინგი (7 თანამშრომელი)

ცენტრი წელიწადში ერთხელ ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევას. მეორე კვარტალში სპეციალურად შედგენილი კითხვარის საშუალებით ჩატარდა კვლევა, რომელიც იყო ანონიმური და მასში მონაწილეობის საშუალება ჰქონდა ცენტრის ყველა თანამშრომელს. კვლევის შედეგების განხილვა მოხდა გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ცენტრის ყველა თანამშრომელი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის 102-მა თანამშრომელმა.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ცენტრის თანამშრომელთა 33% მიიჩნევს, რომ ცენტრის საქმიანობა არის გამართული და ეფექტიანი, 61% - მეტნაკლებად გამართული და ეფექტიანი, ხოლო მხოლოდ 6 პროცენტს მიაჩნია, რომ ცენტრის საქმიანობა არ არის გამართული და ეფექტიანი.

საკუთარი სამსახურით კმაყოფილია ცენტრის თანამშრომელთა 49%, მეტ-ნაკლებად კმაყოფილია 44%, ხოლო უკმაყოფილოა ცენტრის თანამშრომელთა მხოლოდ 7%. კმაყოფილების კვლევის შედეგები გაეცნო ცენტრის დირექტორს თათბირზე, ხოლო შედეგების განხილვა მოხდა გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ცენტრის ყველა თანამშრომელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით განხორციელდა ცენტრის ვებგვერდის ქართულენოვანი შინაარსობრივი ნაწილის სრული განახლება, ინგლისულ ენაზე განთავსებული ინფორმაცია თანხვედრაში მოვიდა ქართულ ენაზე განთავსებულ ინფორმაციასთან. შემუშავდა და დამტკიცდა ვებგვერდის წარმოების წესი. მიუხედავად განახლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, ვებგვერდი არ არის მომხმარებელზე ორიენტირებული. 2019 წელს იგეგმება ახალი, მომხმარებელზე ორიენტირებული, შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინტერაქტიული ვებგვერდის შექმნა.

2017 წლიდან ცენტრში შექმნილია ცენტრის ცხელი ხაზი, სადაც მომხმარებელი სატელეფონო ზარის საშუალებით იღებს ამომწურავ ინფორმაციას ცენტრის კომპეტენციაში შემავალ ნებისმიერ საკითხზე. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით, მიმდინარეობს პასუხგაცემული და პასუხგაუცემელი ზარების სისტემატიური მონიტორინგი.

ცენტრში არსებული სერვისების განვითარება, ეფექტიანობის გაზრდა როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ შემუშავდა ერთიანი მიდგომა და კვირაში ორი დღე ეთმობა კონსულტაციებს ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. საკონსულტაციო დრო გამოყოფილი აქვს ასევე ცენტრის რეესტრის სამმართველოს და საერთაშორისო განათლების სამსახურს. კონსულტაციის დღეები და საათები გამოქვეყნებულია ცენტრის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში შესული ცვლილების თანახმად, საავტორიზაციო განაცხადის წარდგენამდე არანაკლებ 3 თვით ადრე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველი უფლებამოსილია, წერილობით მიმართოს ცენტრს ავტორიზაციის პროცესისათვის მოსამზადებელი ვიზიტის განხორციელების თხოვნით. მოსამზადებელ ვიზიტს აქვს საკონსულტაციო ხასიათი.

2018 წლის დასაწყისში დაინერგა განცხადების შევსების ელექტრონული ფორმა (განცხადება ივსება მიმღებში ცენტრის თანამშრომლების მიერ), რამაც ხელი შეუწყო ცენტრში მოსული

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისა და უცხოელებისთვის გაწეული მომსახურების გაუმჯობესებას.

ცენტრმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად დაიწყო ელექტრონული განაცხადის (online აპლიკაცია) შემუშავება და დანერგვა. 2018 წლის დეკემბრის ბოლოს მომზადდა საქართველოში საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების განაცხადის ფორმა. თანამშრომლობა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან გრძელდება და დაგეგმილია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაში წყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების ელექტრონული განაცხადების (online აპლიკაციების) შემუშავება;

2018 წელს გაგრძელდა საარქივო დოკუმენტაციის დამუშავება, კერძოდ, დამუშავდა 2013 წლის დოკუმენტაცია, სასამართლო საქმეებისა და 1991-2010 წლების იურიდიული პირების სადამფუძნებლო, სალიცენზიო და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ასევე, განხორციელდა 1991-2010 წლების იურიდიული პირების სადამფუძნებლო, სალიცენზიო და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დიגיტალიზაცია, რადგან აღნიშნული დოკუმენტაცია არის მუდმივად შესაწავი (კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება საქართველოს ეროვნულ არქივში ჩაბარებას). პროცესის შედეგად სალიცენზიო მასალები დაცულია დაზიანებისა ან/და განადგურებისგან; ასევე, დიგიტალიზაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დოკუმენტაციის მოძიების დაჩქარებისა და ადრესატისთვის მიწოდების პროცესს.

2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია 2014-2015 წლების საარქივო დოკუმენტაციის დამუშავება და ასევე, 2006-2013 წლების ბრძანებების (ძირითადი, საკადრო, შრომითი ხელშეკრულებები), ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ოქმების დიგიტალიზაცია.

ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწა

ცენტრში შიდა ხარისხის კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით გრძელდება სტრუქტურული ერთეულების დონეზე EFQM-ის სრულყოფილების მოდელის დანერგვა. 2018 წლის ნოემბერში EFQM-ის სრულყოფილების მოდელის შესახებ ტრენინგები გაიარა ცენტრის თანამშრომლების უმეტესობამ. ტრენინგების პირველი ეტაპი დასრულდება 2019 წლის 23 იანვრამდე. მეორე ეტაპი განხორციელდება იანვრის ბოლომდე - სტრუქტურული ერთეულების დონეზე განხორციელდება თვითშეფასება EFQM-ის მოდელის გამოყენებით.

გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და ხარისხის მართვის ევროპული ფონდის კონსულტანტის ჩართულობით, ცენტრმა 25-26 მაისს განახორციელა თვითშეფასების პროცესი EFQM -ის მოდელის შესაბამისად.

2015 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ნერგავს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სრულყოფილების მოდელს (Excellence Model).

GIZ -ის მხარდაჭერით და ხარისხის მართვის ევროპული ფონდის ექსპერტის ფასილიტაციით, ცენტრმა 25-26 მაისს განახორციელა თვითშეფასების პროცესი EFQM-ის მოდელის შესაბამისად. თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო ყველა სტრუქტურული ერთეული. თვითშეფასება განხორციელდა ხარისხის მართვის ევროპული მოდელის 8 ფუნდამენტური კონცეფციის მიმართულებით:

- ✓ ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება;
- ✓ ორგანიზაციული ხედვით, სულისკვეთებითა და ერთიანობის განცდით ხელმძღვანელობა;
- ✓ მდგრადი მომავლის შექმნა;
- ✓ მიღწეული შედეგების შენარჩუნება;
- ✓ მოქნილად მართვა
- ✓ დამატებითი ღირებულება მომხმარებელთათვის;
- ✓ წარმატების მიღწევა ადამიანების ნიჭის ეფექტურად გამოყენების გზით;
- ✓ კრეატიულობის და ინოვაციების ხელშეწყობა

თითოეულ ფუნდამენტურ კონცეფციასთან მიმართებით ცენტრის თვითშეფასების განსახორციელებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებში მოხდა კონკრეტული კრიტერიუმების შეფასება შემდეგი პრინციპით: მიდგომა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება და შედეგი. შეფასების ამ მექანიზმს (RADAR) იყენებს ორგანიზაცია საკუთარი ბიზნეს პროცესების შესაფასებლად და შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოსავლენად. თვითშეფასების შედეგად გამოიკვეთა გაუმჯობესების შესაძლებლობები, მოხდა მათი პრიორიტეტიზაცია და შემუშავდა სამოქმედო გეგმა.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფები EFQM-ის ფუნდამენტური კონცეფციების თემების შესაბამისად, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები და მომზადდა თვითშეფასების დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსია, რომლის პირველი განხილვა განხორციელდა 10-11 ივლისს EFQM-ის ექსპერტის ფასილიტაციით. დოკუმენტის საბოლოო სახის მიცემაზე მუშაობა გრძელდება.

2018 წელს მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა EFQM-ის პარტნიორობის დოკუმენტსა და განაცხადზე, რომლებიც გაიგზავნა ხარისხის მართვის ევროპულ ფონდში. მიმდინარეობს EFQM-იდან გამოგზავნილი დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულების და მისი დანართების განხილვა.

ინფორმაციული უსაფრთხოება

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 მარტის №157 ბრძანებულების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესულია „კრიტიკული

ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხაში“ და შესაბამისად, ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავების ღონისძიებებს.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარება და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა

ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვა და მონიტორინგი

2018 წლის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად, საავტორიზაციო განაცხადი წარმოადგინა 34-მა უსდ-მ, საიდანაც 30 მათგანში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. დანარჩენ საავტორიზაციო განაცხადებზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 21 სხდომა. აღნიშნულ პერიოდში საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 96 გადაწყვეტილება, საიდანაც 24 გადაწყვეტილება იყო მიღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ, 3 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, 5 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, 11 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, 3 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ, 27 გადაწყვეტილება ეხებოდა საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხებს.

ESG-სთან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების დამტკიცება/დანერგვა/მონიტორინგი

2018 წლის 31 იანვარს დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები. აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები უფრო მეტად არის ორიენტირებული პროგრამის შედეგების შეფასებაზე და განვითარებაზე. ასევე, შეცვლილია სტანდარტების სტრუქტურა. კერძოდ, სტანდარტები დაყოფილია კომპონენტებად და მოცემულია თითოეული კომპონენტის აღწერილობა, შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები/მტკიცებულებები. განხორციელებული ცვლილებები სრულ შესაბამისობაშია ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG - 2015).

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 58 სხდომა. 125 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების

თაობაზე, 43 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე, 27 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

უმაღლესი განათლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფა

მიმდინარეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მოძიების პროცესი და განხორციელდა ექსპერტთა კორპუსის შევსება. საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსში დაფიქსირებულია 222 ექსპერტი, საიდანაც - 41 საერთაშორისო ექსპერტი, 49 - სტუდენტი, 34 - დამსაქმებელი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსში დაფიქსირებულია 552 ექსპერტი, საიდანაც - 177 საერთაშორისო ექსპერტი, 80 - სტუდენტი, 43 - დამსაქმებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - საქართველოს განათლების სისტემა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე, ექსპერტის როლი და ESG სტანდარტები. ტრენინგზე დეტალურად იქნა განხილული ავტორიზაციის სტანდარტები, საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებული საკითხები, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები, ექსპერტთა საქმიანობის წესი, ეთიკის კოდექსი და ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ტრენინგს ესწრებოდა 86 ექსპერტი. ტრენინგის დასრულების შემდგომ ექსპერტებს ჩაუტარდათ ტესტირება.

ERASMUS+-ის მხარდაჭერით ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა ტრენინგი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მომზადების თაობაზე. ტრენინგს დაესწრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 35 ექსპერტი. ტრენინგზე განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენის მეთოდოლოგია.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრნენ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ექსპერტები (40 ექსპერტი). ტრენინგზე დეტალურად იქნა განხილული აკრედიტაციის ახალი სტანდარტები, სააკრედიტაციო ვიზიტთან დაკავშირებული საკითხები, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები, ექსპერტთა საქმიანობის წესი, ეთიკის კოდექსი და აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დამტკიცდა ექსპერტთა საქმიანობის შეფასების ფორმები, რომლის მიხედვითაც დაიწყო ექსპერტთა საქმიანობის შეფასება. შეფასებას ახორციელებენ: უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების წარმომადგენლები, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე და ცენტრის თანამშრომელი, რომელსაც ცენტრი მიავლენს ვიზიტზე.

უმალესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განათლების დარგობრივი მახასიათებლების განვითარება

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით და WFME-ს ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე შეიცვალა და დამტკიცდა მედიცინის პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი.

დამტკიცდა მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებელი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (300-კრედიტიანი) პროგრამებისათვის, რომლის ამოქმედებამ, თავის მხრივ, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის გადახედვისა და ძირითადი კომპეტენციების ახალ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება განაპირობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავდა და დამტკიცდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ახალი დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს, აგრეთვე განხორციელების მინიმალურ მოთხოვნებს.

სავეტერინარო განათლების ინტეგრირებული სამაგისტრო (300-კრედიტიანი) პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შემდგომ, დღის წესრიგში დადგა დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობა ვეტერინარის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამებისათვის, რაც ასევე წარმატებით შეიქმნა და დამტკიცდა.

გრძელდება მუშაობა სამართლის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე.

დაიწყო მუშაობა აგრარული მიმართულების 3 დარგობრივ მახასიათებლებზე. „სატყეო საქმე“ (დასრულებულია როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებისათვის შემუშავებული მახასიათებლების პროექტი, მიმდინარეობს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების ხელშეწყობის ღონისძიებები). „აგრარული ტექნოლოგიების“ და „სასურსათო ტექნოლოგიების“ მიმართულების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების პროცესს რაც შეეხება, ძირითადი სამუშაო უკვე შესრულებულია, უახლოეს მომავალში პროექტების სამუშაო ვერსიის განხილვა-დამტკიცების ხელშეწყობის ღონისძიებები განხორციელდება.

დაიწყო მუშაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლების პროექტებზე როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებისათვის (ამ შემთხვევაშიც, ძირითადი სამუშაო უკვე შესრულებულია, უახლოეს მომავალში პროექტების სამუშაო ვერსიის განხილვა-დამტკიცების ხელშეწყობის ღონისძიებები განხორციელდება).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის წარმოდგენილი პროექტი უკვე განიხილა დარგობრივმა საბჭომ, რომლის რეკომენდაციების გათვალისწინებისა და დარგობრივი მახასიათებლის პროექტში ასახვის შემდგომ დამტკიცების ხელშეწყობის ღონისძიებები განხორციელდება.

სკოლამდელი განათლების სპეციალისტის მომზადების საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, განათლების მიმართულების საბჭოს რეკომენდაციით, მიმდინარეობს მუშაობა „ადრეული განათლების“ მიმართულების დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე; ასევე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროფესიული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მიზნით.

არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულების დარგობრივი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, დაიწყო მუშაობა „არქიტექტურის“ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლის პროექტზე.

იდენტიფიცირდა სწავლების სფეროები, რომლებშიც უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება 2019 წლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შედეგზე ორიენტირებული შეფასების კონცეფციის მომზადება და მასზე დაყრდნობით შეფასების სტანდარტების განვითარება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული შეფასების სისტემის განვითარების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ზოგად განათლებასთან დაკავშირებული სააგენტოებისა და ცენტრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, განათლების ექსპერტები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები. ჯგუფმა 11 სამუშაო შეხვედრის შედეგად მოამზადა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის კონცეფციის პროექტი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების განსახილველი ვერსია, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების შეფასებას მისიისა და სტრატეგიული განვითარების, პოზიტიური სასკოლო კულტურის, მართვის, ლიდერობის და ორგანიზაციული განვითარების, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების სტანდარტებთან მიმართებით. მატერიალური რესურსების სტანდარტების განვითარება და ამ სტანდარტის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასება გადავიდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების და პროცედურების დამტკიცება/დანერგვა

მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტი. დაწყებულია გზამკვლევის პროექტის მომზადება, რომელიც საბოლოო სახეს მიიღებს ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების დამტკიცების შემდეგ. 2018 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი, ასევე თანმდევი ცვლილებები კანონში „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, რომელიც ცნობს სამის ნაცვლად ხუთ სტანდარტს, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ახალი სტანდარტები ამოქმედდება არაუგვიანეს 2019 წლის ოქტომბრისა.

ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებში დამატებითი აქცენტები კეთდება მისიაზე, ხედვასა და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე, დამსაქმებელთან ურთიერთობაზე, სტუდენტთა სერვისებზე, პროფორიენტაციასა და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე.

განახლებული სტანდარტების პროექტი განხილულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს ხარისხის თემატური ჯგუფის წევრებთან, ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სტანდარტების გადამუშავების პროცესში შენიშვნებისა და რეკომენდაციების მოწოდების შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცა. პროფესიული განათლების ევროპელი ექსპერტების შეფასებით სტანდარტები შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სივრცის (EQAVET) სტანდარტებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარება/სრულყოფა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის, მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიწოდების მიზნით, გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა, სადაც მოხდა ექსპერტთა დასკვნების ანალიზი. სამუშაო შეხვედრებს დაესწრო ექსპერტთა კორპუსის ყველა წევრი (89 ექსპერტი).

ჩატარდა კონკურსი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ექსპერტებით ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობის განახლება/შეცვლის მიზნით. აყვანილ იქნა დამატებით ოთხი ექსპერტი. ასევე, ექსპერტთა კორპუსის წევრები გახდნენ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები (სამი დარგობრივი ექსპერტი). ექსპერტთა კორპუსის ახალ წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი ავტორიზაციის სტანდარტებსა და პროცედურებში, დასკვნის შედგენის მეთოდოლოგიაში.

ჩამოყალიბდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასების მეთოდოლოგია, შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი შეფასების ფორმები. ექსპერტთა შეფასების ფორმების საშუალებით, მიმდინარეობს ვიზიტების ფარგლებში ექსპერტთა შეფასება. სამსახურის მიერ მომზადდა ექსპერტთა შეფასების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ვერიფიკაციის მოდელის შემუშავება და პილოტირება

2018 წელს პირველი კვარტალში შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის კონცეფცია, რომელიც დაეფუძნა ევროკავშირის პროექტის „ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ და MCA-გ პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში მომზადებულ გარე და შიდა ვერიფიკაციის გზამკვლევებს. განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის პილოტირება, საპილოტე სფეროები და დაწესებულებები შეირჩა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შეირჩნენ ექსპერტები ავტორიზაცია/აკრედიტაციის ექსპერტთა ბაზიდან დარგობრივი სპეციფიკაციის გათვალისწინებით, პროცესში ჩართვის მიზნით შეირჩნენ საგანმანათლებლო დაწესებულებების დარგობრივი წარმომადგენლებიც, რომლებმაც გამოთქვეს მონაწილეობის სურვილი. გარე ვერიფიკატორთათვის მომზადდა ტრენინგპაკეტი და ჩატარდა მოსამზადებელი ტრენინგი, რომელიც ითვალისწინებდა მონაწილეების როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას შეფასების პროცესში. პილოტირება განხორციელდა 2018 წლის წლის მესამე კვარტალში. მეოთხე კვარტალში დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ვერიფიკაციის პილოტირების შედეგების შესახებ. სულ ჩატარდა 4 საინფორმაციო შეხვედრა შემდეგ ჯგუფებთან: დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო სამართლის იურიდიული პირი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეტაპობრივი ავტომატიზაცია

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) თანამშრომლებთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა მუშაობა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის სრულყოფაზე. შემუშავდა ადამიანური რესურსის მოდული, სადაც აღნიშნულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული პირების კვირეული დატვირთვის საათები როგორც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში, ასევე სხვადასხვა სასწავლებლებში. შესაძლებელი გახდა სისტემიდან აღნიშნული ინფორმაციის ანგარიშის სახით მომზადება. ასევე, განათლების მართვის თანამშრომლებთან აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდა ელექტრონული სისტემით გათვალისწინებული ნაწილების, მოდულების ტესტირება. ამასთან, მოხდა სისტემის თითოეული ეტაპის ვიდეო გადაღება, რაც დაინტერესებული პირებს გაუადვილებს სისტემაში ოპერირებას.

ამჟამად, მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის გამოყენების სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი და ასევე გრძელდება მუშაობა ტესტირების დროს გამოკვეთილ პრობლემების აღმოფხვრაზე.

გარდა ამისა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლებთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებაზე. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ავტომატიზაცია საბოლოო სახეს მიიღებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დამტკიცების და ამოქმედების შემდეგ („განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არაუგვიანეს 2019 წლის ოქტომბრისა).

2018 წელს ჩატარებული ავტორიზაციის/აკრედიტაციის/სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობრივი მაჩვენებელი

- ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 21 სხდომა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 96 გადაწყვეტილება.
- ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 58 სხდომა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 125 გადაწყვეტილება.
- ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 21 სხდომა; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 223 გადაწყვეტილება.
- ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 19 სხდომა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 84 გადაწყვეტილება;
- ჩატარდა სააპელაციო საბჭოს 7 სხდომა. სააპელაციო საბჭომ მიიღო 24 გადაწყვეტილება.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისია და სტრატეგიული დაგეგმვა - მონაწილეობა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 66-მა წარმომადგენელმა
- თვითშეფასების მნიშვნელობა, თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის ფუნქციები და თვითშეფასების შედეგის მეთოდოლოგია - მონაწილეობა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 58-მა წარმომადგენელმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შეფასების სისტემა - მონაწილეობა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 54-მა წარმომადგენელმა

სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წერილობითი მომართვის საფუძველზე განხორციელდა ავტორიზაციის პროცესისთვის მოსამზადებელი ვიზიტი: სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (იანვარი); იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მარტი); შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (მარტი). მოსამზადებელ ვიზიტს ჰქონდა საკონსულტაციო ხასიათი და შეეხებოდა: თვითშეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას; საავტორიზაციო ვიზიტის დაგეგმვასა და განხორციელებას; ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განმარტებას.

უსდ-ს წარმომადგენლებისათვის ცენტრში მიმდინარეობდა ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, რომელიც ეხებოდა აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და მის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 51 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 96-მა წარმომადგენელმა.

ცენტრის ორგანიზებით დეკემბერში გაიმართა წლის შემაჯამებელი კონფერენცია თემაზე: "უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სისტემის დანერგვა, შედეგები და შემდგომი ნაბიჯები". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს და სააპელაციო

საბჭოს წევრებმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებმა, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა (WFME) და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) პრეზიდენტებმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) ვიცე პრეზიდენტმა. უნივერსიტეტების დიდი ქარტიის პრეზიდენტმა, ლოზანას უნივერსიტეტის ვიცე რექტორმა, EFQM-ის ექსპერტმა. კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული მექანიზმების დანერგვის შედეგები, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები, სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები, EFQM სრულყოფილების მოდელის – ორგანიზაციული განვითარებისა და ცვლილების ინსტრუმენტები.

პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური/დუალური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა, პროცესის შეფასება და შედეგების საფუძველზე პროგრამების გაუმჯობესება

მომზადდა 2017 წლის მესამე ეტაპის, ასევე, 2018 წლის პირველი ეტაპის დანერგვის მხარდაჭერის შემაჯამებელი ანალიტიკური დოკუმენტები.

ჩატარდა 5 საინფორმაციო შეხვედრა დანერგვის პროცესების მიმდინარეობის საკითხებსა და ავტორიზაციის დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ანალიტიკური / შემაჯამებელი დოკუმენტები აერთიანებს მოდულური პროგრამების განმახორციელებელ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას. დოკუმენტი, ასევე მოიცავს აქტივობებს, რომლებიც განსახორციელებელია პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით.

მოდულური/დუალური პროგრამების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებთან შედგა 100-მდე საკონსულტაციო შეხვედრა.

შეირჩა დანერგვის მხარდაჭერის 11 სპეციალისტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსიდან. განხორციელდა შერჩეული ექსპერტების ტრენინგი 27 აპრილსა და 5 ოქტომბერს. ასევე, შუალედური და დასკვნითი შეხვედრები 16-17 ივლისსა და 4 დეკემბერს.

2018 წლის განმავლობაში მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ექსპერტების მიერ, განხორციელდა მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის 118 ვიზიტი, იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც უკვე ახორციელებენ მოდულურ/დუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტების პირველი ეტაპი განხორციელდა მაისი-ივნისის პერიოდში, ხოლო მეორე ეტაპი ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში. ივლისსა და დეკემბერში განხორციელდა დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტების მიერ პირველ და მეორე ეტაპზე 24 მაისს განხორციელდა დაწესებულებების შიდა მხარდაჭერის სპეციალისტების საინფორმაციო

შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 დაწესებულების 13-მა სპეციალისტმა და მოხდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

2018 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა 5 ტრენინგ-სემინარი მოდულური პროგრამების დანერგვის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერების საკითხებზე. კერძოდ, „საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერება მოდულური/დუალური პროგრამების ადაპტირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვის საკითხებთან დაკავშირებით“. ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობდა 60-მდე დაწესებულების 103 წარმომადგენელი.

განხორციელდა 33 ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი მოდულების შინაარსობრივი და ტექნიკური ანალიზი მათი სრულყოფის მიზნით. მიმდინარეობს მოდულებში ცვლილებების ინიცირების პროცესი. 2018 წლის 1 აგვისტოდან განხორციელდა ჩარჩო დოკუმენტების ატვირთვა ემისის საინფორმაციო ბაზაში. საიტზე აიტვირთა/ცვლილება შევიდა სულ 129 ჩარჩო დოკუმენტში და მის შემადგენელ მოდულებში.

წარმოდგენილი მხარდაჭერის ანგარიშების განხილვა სამუშაო ჯგუფებში. 2018 წლის განმავლობაში თბილისსა და ბათუმში ოთხჯერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოდულური/დუალური პროგრამების განმახორციელებელ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან. აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლებთან და ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან. შეხვედრების ფარგლებში შეჯამდა 2018 წელს განხორციელებული სამუშაოები. ყურადღება გამახვილდა მოდულური/დუალური პროგრამების დანერგვის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კმაყოფილების კვლევაზე, პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პილოტირების შედეგებზე, დანერგვის მხარდაჭერის შედეგებსა და შემაჯამებელ დოკუმენტზე და განახლებული სტანდარტების ჩექლისტების ანალიზზე.

4. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა

განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცება, ჩარჩოს და კლასიფიკატორის განვითარების მიზნით, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნის და განვითარების წესის შემუშავება

ევროპის განათლების ფონდთან (ETF) თანამშრომლობით დასრულდა მუშაობა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვისა და განვითარების, მონიტორინგის წესისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტებზე. განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გამჭვირვალობის, დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობის, ცნობიერების ამაღლებისა და დანერგვის გაადვილების მიზნით, ETF-ის ექსპერტებთან თანამშრომლობით, შემუშავდა ჩარჩოს სახელმძღვანელო.

ასევე, შემუშავდა კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების შესახებ ელექტრონული ბაზის შექმნას. ელექტრონული ბაზის ტექნიკური მახასიათებლების კონცეფცია შემუშავდება ევროკავშირის ახალი პროექტის თვინივრის ფაგლებში 2019 – 2021 წლებში.

2018 წლის დეკემბერში დასრულდა მუშაობა ჩარჩოს და კლასიფიკატორის პროექტებზე. პროექტები დასამტკიცებლად ინიცირებულია სამინისტროში. დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე 2019 წლიდან დაიწყება დანერგვა, რომლის საბოლოო ვადად განისაზღვრა 2020 წელი. მიმდინარეობს მუშაობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება/დამტკიცების ხელშეწყობა

ETF-ისა და ევროკავშირის ექსპერტებთან თანამშრომლობით გასულ წლებში შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია, აღიარების მექანიზმების და მეთოდოლოგია, აღიარების პროცესის მონიტორინგის სახელმძღვანელო. დამტკიცება: 2018 წლის ოქტომბერში „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის განახლებისა და შესაბამისი კონცეფციის და მეთოდოლოგიის საფუძველზე 2019 წლის იანვარ - თებერვალში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნება არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი. ასევე, 2019 წელს დაიწყება არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვის ქვეპროგრამის

განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ ორ სფეროში არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მხარდაჭერას, კონსულტანტების მომზადებასა და პროცესის დიჯიტალიზაციას.

განათლების დადასტურება (აღიარება, ნამდვილობა, აპოსტილი და ლეგალიზაცია)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებას, ადასტურებს დევნილების ან ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც. ცენტრი ასევე ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, კერძოდ, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტებსა და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

2018 წლის მონაცემებით:

- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე წარმოდგენილი განცხადებებიდან, 5972 დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება. მიღებულ იქნა 5224 დადებითი და 758 უარყოფითი გადაწყვეტილება.
- საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა სულ 12094 დოკუმენტი.
- ცენტრში შემოვიდა 8614 განცხადება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით; ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების 9500 -მდე დოკუმენტი აქედან 282 უარი;
- ცენტრში შემოვიდა 473 განცხადება უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით; მომზადდა ცნობა 618 უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ;
- ცენტრში შემოვიდა განცხადებები ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; მომზადდა 356 გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე მათ შორის 239 დადებითი და 117 უარყოფითი;

- ცენტრში შემოვიდა განცხადებები დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; მომზადდა 23 გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე, მათ შორის 18 დადებითი და 5 უარყოფითი;
- ცენტრში შემოვიდა განცხადებები ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; მომზადდა 11 დადებითი გადაწყვეტილება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე;
- ცენტრში შემოვიდა განცხადებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნით; მომზადდა 17 გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის (საკითხის განხილვის შეუძლებლობის) შესახებ, მათ შორის 16 დადებითი და 1 უარყოფითი;
- განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების მიზნით, ცენტრში შემოსული 199 დიპლომის ფორმებიდან ენობრივად შეთანხმებულია 136 ფორმა;
- საანგარიშო პერიოდში დამზადდა და გაიცა 118 დიპლომი.

სტუდენტთა მობილობა

მობილობის მსურველთათვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და ჩატარდა ღია კარის დღეები, ამასთან, ჩატარდა შეხვედრები თემაზე: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მობილობის ადმინისტრირების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება“. რომლებშიც მონაწილეობა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 90-მდე წარმომადგენელმა.

- 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2761 -მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 2403 -მა სტუდენტმა.
- 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრის მობილობის ადმინისტრირების პროცესში დამუშავდა 50 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მობილობით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი 2113 სტუდენტზე.
- 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 4997-მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 3916-მა სტუდენტმა.

5. საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციასთან (ENQA) თანამშრომლობა

2014 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) აფილირებული წევრი.

ცენტრმა 2018 წლის თებერვალში გააკეთა განაცხადი ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) წევრობაზე.

2018 წლის 9 მარტს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის დავალებად განისაზღვრა ENQA-ს სააგენტოების შეფასების გზამკვლევის (Guidelines for ENQA Agency Reviews) მიხედვით ENQA-ში წარსადგენი თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. ასევე, განაცხადის მომზადების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია და განაცხადის მომზადებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ანალიზი. მომზადდა ENQA-ში გაწევრიანების პროცესის გრაფიკი. აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, რომელზეც განიხილებოდა ცენტრის თვითშეფასების პროექტი და მასზე დანართის სახით დასართავი დოკუმენტაცია. ENQA-ში წარსადგენ დოკუმენტაციაზე მუშაობა დასრულდა 13 აგვისტოს, რის შემდეგაც დოკუმენტაცია გაიგზავნა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციაში. ENQA-ს შემფასებელთა ვიზიტი ცენტრში განხორციელდა, გრაფიკის შესაბამისად, ოქტომბერში. შეფასების შუალედური შედეგები ცნობილი გახდება 2019 წლის იანვრის ბოლოს. მნიშვნელოვანია, რომ ENQA-ს სრული წევრობა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარებასა და სანდოობას.

ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის (BFUG) საქმიანობაში მონაწილეობა

ცენტრი მონაწილეობდა ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც გაიმართა ქალაქ სოფიაში (ბულგარეთი), თებერვალსა და აპრილში.

ცენტრი მონაწილეობდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) განათლების მინისტრთა კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა პარიზში, 23-25 მაისს. კონფერენციაზე საქართველოს, როგორც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის წევრი ქვეყნის დელეგაციას, ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი. დელეგაციის 5 წევრს წარმოადგენდა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი, თსუ-

ს დოქტორანტი. კონფერენციაზე, მრგვალი მაგიდის ფორმატში, სიტყვით გამოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, რომელმაც მიმოიხილა საქართველოში მიმდინარე რეფორმა და იმედი გამოთქვა, რომ წინა სამი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველო მომავალშიც ჩაერთვებოდა რომელიმე სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, ვინაიდან იმპლემენტაციის მეორე ჯგუფის თანათავმჯდომარეობამ დააჩქარა და ხელი შეუწყო რეფორმის დაჩქარებული წესით დანერგვას. ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფის მიერ მინისტერიალზე წარდგენილ „ბოლონის პროცესის იმპლემენტაციის 2018 წლის ანგარიშში“ წარმოდგენილია რიგი საკითხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული საქართველოში და საჭიროებს შემდგომ ძალისხმევას. კონფერენციაზე მიღებულ იქნა პარიზის კომუნიკე.

ბოლონის პროცესის დანერგვის ანგარიშის შესაბამისად, მომზადდა ანალიზის დოკუმენტი, სადაც ასახულია ქვეყანაში რეფორმების დანერგვის მდგომარეობა.

2018 წლის 3-4 დეკემბერს თბილისში ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფაზე ბოლონის იმპლემენტაციის კოორდინაციის (BICG) თემატური საექსპერტო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა:

- ბოლონის პროცესის ძირითადი ვალდებულებები და საექსპერტო ჯგუფების სტრუქტურის შექმნა ბოლონის იმპლემენტაციის კოორდინაციის ჯგუფის (BICG) ფარგლებში;
- ბოლონის იმპლემენტაციის 2018 წლის ანგარიში და ხარისხის უზრუნველყოფის ინდიკატორები;
- საექსპერტო ჯგუფის ქვეთემების განსაზღვრა, ჯგუფის წევრებთან მუშაობის გზები.

გაიმართა დისკუსიები პარალელურ მრგვალ მაგიდეებზე სხვადასხვა თემებზე (მათ შორის: ESG-ს საკანონმდებლო ჩარჩოები, ერთობლივი პროგრამებისადმი ევროპული მიდგომა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა, გარე ხარისხის უზრუნველყოფა - ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია, ტრანსნაციონალური ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.); განახლდა ქვეყნების სამოქმედო გეგმები.

პროექტი: ხარისხის უზრუნველყოფის და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება (Twinning Fische)

2018 წელს განათლების ევროპული ფონდის მხარდაჭერით ცენტრმა მოამზადა პროექტი - ხარისხის უზრუნველყოფის და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება (Twinning Fische). პროექტი მოწონებულ იქნა და მისი განხორციელება დაიწყო 2019 წლიდან. პროექტი არის ორწლიანი და მიზნად ისახავს, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური კაპიტალის განვითარებას, გამჭვირვალე პროცედურების და ინსტრუმენტების შემუშავებას ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ხარისხის მართვის ევროპულ ფონდთან (EFQM) თანამშრომლობა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2016 წლიდან არის ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) წევრი. ცენტრის მიზანია, გახდეს EFQM-ის პარტნიორი საქართველოში და ხელი შეუწყოს ხარისხის მართვის ევროპული მოდელის დანერგვას როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორში.

2018 წელს მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა EFQM-ის პარტნიორობის დოკუმენტსა და განაცხადზე, რომლებიც გაიგზავნა ხარისხის მართვის ევროპულ ფონდში. მიმდინარეობს EFQM-იდან გამოგზავნილი დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულების და მისი დანართების განხილვა. ხელშეკრულების დოკუმენტი ითარგმნა ქართულად, მიმდინარეობს დოკუმენტის სამართლებრივი განხილვა. ცენტრი გეგმავს 2019 წელს მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას და გახდეს EFQM-ის პარტნიორი საქართველოში.

"ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელთან" (ENIC-NARIC Network) თანამშრომლობა

ყოველწლიური (რიგით 25-ე) შეხვედრა გაიმართა ჩეხეთში, ქ. პრადში. შეხვედრას ესწრებოდა ცენტრის საერთაშორისო განათლების სამსახურის წარმომადგენელი. შეხვედრის მთავარ თემებს წარმოადგენდა ლტოლვილთა მიერ მიღებული განათლების აღიარება, ავტომატური აღიარება და ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ენიკ-ნარიკის ქსელის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ ინფორმაცია ავტომატურ აღიარებასთან დაკავშირებით პორტუგალიაში, ლიტვასა და ნიდერლანდების სამეფოში არსებული მიღწევების შესახებ.

ავტომატური აღიარება ეხება ძირითადად მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 საფეხურის კვალიფიკაციებს. მე-5 საფეხურზე არსებული კვალიფიკაციების არაერთგაროვანების გამო ქვეყნების მიხედვით, მას ჯერ არ მოიცავს ავტომატური აღიარების კონცეფცია.

ავტომატური აღიარების დანერგვისათვის უმნიშვნელოვანესია, პირველ რიგში, პოლიტიკური ნება. ამასთან, ქვეყნების ძირითადი ნაწილი ავტომატური აღიარების დანერგვისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს 3-საფეხურიანი სისტემისა და ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან თავსებადობადადგენილი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ESG-ის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობასა და ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციას.

ცენტრის საერთაშორისო განათლების სამსახური გეგმავს ღონისძიებებს დაწყებას ავტომატური აღიარების მიმართულებით, რათა ქართულ კვალიფიკაციებს აღიარებისას არ შეექმნას დამატებითი ბარიერი საზღვარგარეთ.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება

სამედიცინო მიმართულების პროგრამები დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სტუდენტებში.

სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა ევროპულმა განათლების საბჭომ (ECFMG) 2010 წელს განაცხადა, რომ 2023 წლიდან მხოლოდ იმ სამედიცინო პროგრამების კურსდამთავრებულები შეძლებენ ECFMG-ის სერტიფიკატზე განაცხადის გაკეთებას, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და აღიარებულია ისეთი ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციის მიერ, რომელიც შესაფასებლად იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ კრიტერიუმებს და თავად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებს.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის აღიარების მოპოვებით მიზნით, 2017 წელს განათლების განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) თანამშრომლობა, ხოლო აღიარების პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, 2018 წლის 15 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის დავალებად განისაზღვრა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) გზამკვლევის (guidelines for recognition of accreditation agencies) მიხედვით WFME-ში წარსადგენი განაცხადის მომზადება. ასევე, განაცხადის მომზადების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია და განაცხადის მომზადებისთვის საჭირო დოკუმენტაციის/ინფორმაციის ანალიზი.

თებერვალში ცენტრმა წინასწარი განაცხადით მიმართა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციას (WFME) აღიარების მოპოვების მიზნით. განაცხადი მიღებულ იქნა ფედერაციის მიერ და გაიწერა შემდგომი ნაბიჯების დეტალური გრაფიკი. სამუშაო ჯგუფმა WFME-ის გზამკვლევის შესაბამისად მოამზადა WFME-ში წარსადგენი განაცხადი.

განაცხადი და სრული დოკუმენტაცია ფედერაციაში გაიგზავნა გრაფიკით განსაზღვრულ დროს, 16 აპრილს.

6-10 ივნისს განხორციელდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ექსპერტთა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, WFME-ს ექსპერტები შეხვდნენ ცენტრის წარმომადგენლებს, დამკვირვებლის სტატუსით დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს და ასევე დაესწრნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, რომელზეც განხილულ იქნა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ, ექსპერტებმა წერილობითი ფორმით, რამდენჯერმე მოითხოვეს შესაბამისი საკითხების დაზუსტება, რაც ცენტრის მხრიდან დროულად განხორციელდა. ექსპერტთა ვიზიტის შედეგად შედგა ექსპერტთა დასკვნის პროექტი, რომელიც გამოეგზავნა ცენტრს ფაქტობრივ უზუსტობებზე რეაგირების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ

დასკვნის პროექტის თანახმად, საქართველოში დანერგილი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ცენტრის საქმიანობა WFME-ის ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

შეფასების შედეგები ცნობილი გახდა ნოემბერში. ცენტრმა მოიპოვა WFME-ის აღიარება/აკრედიტაცია 10 წლის ვადით.

საკონტაქტო ინფორმაცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. 1
ტელ.: (+995 32) 2 200 200
E-mail info@eqe.ge
www.eqe.ge

